პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 17 (19758) ოთხშაბათი, 21 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გარდაქმნის ლენინური იდეები

XXVII ყრილობამ, რომელმაც შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გაახლებისა და გარდაქმნის სტრატეგიის, მოითხოვა თეორიული დებულებების ახლებურად გაგება. ყრილობის მიერ წარმოყენებული მსჯელობანი და რთული ამოცანების გადაწყვეტა ფულისხმობს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ორგანიზმქმნელი ძალის ყოველმხრივ გამდიდრებას, თეორიულ დებულებათა ახალ გააზრებას. და ყოველთვის, როცა საქმე ეხება საზოგადოების ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლის სიღრმისეულ პროცესებს, პარტია რჩევისათვის მიმართავს ლენინს, მის უკვდავ დებულებებს, ფართო მასების ძალ-ღონეს წარმართავს მომწიფეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, შემოქმედებითად იყენებს ისტორიულ გამოცდილებას, წარსულის გაკვეთილებს.

ლენინი ასწავლიდა კომუნისტებს, რომ ყველაფერში ითვალისწინებდნენ მშრომელთა ინტერესებს, რომ სწვდებოდნენ ცხოვრებას, ობიექტურად აფასებდნენ საზოგადოებრივ მოვლენებს, მუდამ ეძებდნენ კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის ოპტიმალურ გზებს. ახორციელებს რა პროგრამულ მიზნებს, პარტია, ითვლა სკკპ XXVII ყრილობაზე, თანმიმდევრულად იყენებს ნაცად ლენინურ პრინციპებს, ამდიდრებს ლენინურ სტილს პარტიულ მუშაობაში, სახელმწიფო სამეურნეო მართვის ყველა ფორმში, ზრდის თავისი პოლიტიკის მეცნიერულ დასაბუთებას, ერთიანად ეყრდნობა მასების კოლექტიურ გონებასა და გამოცდილებას, ავითარებს მათს საზოგადებრივ ინიციატივას.

ყრილობამ ცხადყო, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ექსტენსიური განვითარების გზა საზოგადებრივი პროგრესის აკვარა მუხრუჭი გახდა, ფრმოიშვა დაგეგმვისა და მართვის ისეთი მეთოდები, რომლებიც ინდივიდუალურ კარგავდა მასტიმულირებელ ზემოქმედებას სამეურნეო მშენებლობაზე, მის ტემპზე. ცხოვრებამ მოითხოვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

საზოგადოების განვითარებაში დაჩქარების ლენინური ხელოვნების შემოქმედებითად გამოყენება ინტელექტუალურ შეუსაბამო, მუდმივ ყველგასულ ფორმებსა და ფორმულებზე უარის თქმას, ქვეყნის ცხოვრების მეურნეობის რეკონსტრუქციას და განვითარ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. ეკონომიკური მშენებლობა ლენინს მიაჩნდა უმთავრეს, ნამდვილ საქმედ პრინციპული, პრაქტიკული და საერთაშორისო თვალსაზრისითაც.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სამეურნეო ცხოვრების ორგანიზაცია შესაძლებელია ეკონომიური რეფორმების გზით, ადამიანთა მორალური და მატერიალური სტიმულირების, მათი დიდი პატრიოტული ენერგიის და შეგნებული ინიციატივის მეოხებით. სოციალისტური მშენებლობის წლებში სოციალური და ეკონომიკური ხასიათის მრავალგვარ ამოცანებს, ეროვნული ეკონომიკის ფორმირებასა და ადამიანთა ურთიერთობის ახალ ფორმებს ადგენდა ლენინური ტალანტი, ამ ამოცანებს ეფუძნებო

მარდაქმნის ლენინური იდეები

(დასასრული)

ნაკარნახევია არა მარტო საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობის მისწრაფებებით. სკკპ XXVII ყრილობა მოასწავებდა ახალ ეტაპს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის განვითარებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების და მეთოდების შემოქმედებითი გამოყენება ახლანდელი ბირთვულ-კოსმოსური ხანის რეალობების, მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპის ანალიზისათვის.

ცხოვრება მოწმობს, რომ საზოგადოების პროგრესში საერთოდ, და საქეკონომიკურ მშენებლობაში — კერძოდ, გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის ფაქტორი. ამიტომ გარდაქმნის პროცესების ცენტრში დგას ადამიანი, თავისი შეგნებით, აზროვნებითა და ფსიქოლოგიით. სოციალისტური მშენებლობის ყველაზე მთავარი გაკვეთილია ხალხის ფართო მასების აქტიური მონაწილეობა დასახული ამოცანების გადაწყვეტაში, ხალხის ცოცხალი შემოქმედება, თვით სოციალიზმის არი მისი დაჩქარებული განვითარების და სრულყოფის ძირითადი პირობაა. ლენინს მარქსიზმის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა, ამავე დროს ყველაზე მარტივ და გასაგებ დებულებად მიაჩნდა ის, რომ, რაც უფრო რთული, მასშტაბური და პასუხსაგებია ისტორიული ამოცანები, მით უფრო მეტია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც მათს განხორციელებაში მონაწილეობენ, და, რაც უფრო „ღრმა" გარდაქმნა, რომლის მოხდენაც ჩვენ გვსურს, მით უფრო უნდა გავაძლიეროთ მისდამი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები". გარდაქმნა ადამიანისათვის არის გათვალისწინებული და ამიტომ იგი ადამიანმა უნდა განახორციელოს, რომ სწორედ ადამიანია, როგორც ლენინი აღნიშნავდა, გარდაქმნის ფოკუსში თავისი ინტერესებით, საზრუნაგით, ინტელექტუალური პოტენციალით. ეს არის გარდაქმნის ღრა აზრი, მაგრამ ამაშია მისი სირთულეც.

ამიტომ პარტია იღვწის იმისათვის, რომ გამოიწვიოს მილიონთა ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება დასახული ამოცანების განხორციელებისადმი, დაარწმუნოს ისინი გარდაქმნის აუცილებლობაში და გახადოს იგი მათს ღვიძლ საქმედ. სწორედ დასახული პრობლემების გადაწყვეტა მიიჩნდა ლენინს პარტიის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციური მოღვაწეობის მთავარ აზრად.

გარდაქმნის, როგორც დაჩქარების მთავარი პირობის, მისი პირველი ფაზის წარმატება დამოკიდებულია არა მარტო მუშათა კლასის პოლიტიკური კულტურის დონეზე, არამედ ხალხის უმრავლესობის, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, კომუნისტებისა და უპარტიოების, სხვადასხვა თაობის ადამიანთა შეგნებულ და აქტიურ მხარდაჭერაზე. ამიტომ წინასწლის მთავარი შემოქმედებითი ძალა ყოველთვის იყო, არის და იქნება ხალხის უმრავლესობა.

მშრომელთა უფართოესი მასების სამეურნეო მშენებლობაში ჩაბმისათვის ლენინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშაკთა მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას, მათს დაინტერესებასა და მონდომებას. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შრომის დიდ ნაყოფიერებას მივაღწევთ არა უშუალოდ ენთუზიაზმზე, არამედ პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშზე დაყრდნობით, „სხვანაირად თქვენ ვერ მიიყვანთ კომუნიზმთან მრავალ ათეულ მილიონ ადამიანს. ასე გვიკარნახა ცხოვრებამ", — წერდა ვ. ი. ლენინი.

თავის დროზე სწორედ ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, პროდუქტების ნამეტით თავისუფლად ვაჭრობის ლენინური იდეის გატარებამ გამოიწვია გლეხობის მატერიალური დაინტერესება შრომის ნაყოფიერების ზრდით. ეს იყო სამეურნეო მშენებლობაში მასების ჩაბმის ლენინური პრინციპის პრაქტიკული განხორციელება.

გარდაქმნის თვით არსი, მისი მნიშვნელოვანი კომპონენტია საბჭოთა დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავება, ხალხის სოციალისტური (თვითმმართველობის სულ უფრო სრულად განხორციელება.

გარდაქმნის მთავარი შემოქმედებითი ძალა ხალხი და მისი თვითმმართველობა. ხალხის ნამდვილი თვითმმართველობის განუზომრიელებლად შეუძლებელია არსებობდეს საერთო-სახალხო სახელმწიფო. ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ, ჩვენს სინამდვილეში საზოგადოებრივი პრაქტიკის ნორმა ხდება.

ლენინელთა პარტია სიტყვისა და საქმის ერთიანობის პარტიაა. ამიტომ იგი ყოველთვის შეურიგებლად იბრძოდა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას და ძირეული გარდაქმნის ამოცანების გადაწყვეტას. ამიტომ ყრილობამ დასახა ბიუროკრატიზმის სიმოფხვრის ისეთი ქმედითი საშუალებანი, როგორიც არის მართვის შემდგომი დემოკრატიზაცია, მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მიღებაში, საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა არჩევითობა, მშრომელთა წინაშე მართვის ორგანოების პერიოდული ანგარიშგება, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, ფართო საჯაროობის დამკვიდრება.

ახალი წყობილების განვითარების მთავარ ძალად ლენინს მიაჩნდა სწორედ დემოკრატიზმი, მასების ცოცხალი შემოქმედება. ახლა, როცა პარტია წყვეტს რთულ ამოცანებს ეკონომიკის, კულტურისა და მართვის სფეროში, ხალხის თვითმმართველობა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

კომუნისტური პარტიისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის მოძღვრება და მოღვაწეობა სამართლიანად არის მიჩნეული უდიდეს წვლილად საკაცობრიო ცოდნისა და გამოცდილების საგანძურში.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული მასშტაბური ამოცანები და მათი პრაქტიკული განხორციელების სტრატეგია ლენინის მდიდარი იდეური მემკვიდრეობისადმი ერთგულების მკაფიო დასტურია.

ვლადიმერ მერკვილაძე,
პროფესორი.
(საქინფორმი).

რევოლუციური საქმის ერთგულებით

აქვე დაბეჭდილ ფოტოსურათზე აღბეჭდილი ახალგაზრდები — „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" ჯგუფის წევრები — თითქმის თანატოლები არიან. მაშინ მათი სახელები არავის არაფერს ეუბნებოდა, თითქმის არავინ იცნობდა მათ.

მაგრამ გაივლის არც ისე ბევრი დრო, და ერთ-ერთი მათგანის, ჯგუფის ცენტრში მჯდომის სახელი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში გახდება ცნობილი, და იგი მტკიცედ დაიჭერს ხელში მსოფლიო კომუნიზმის საჭეს.

ეს ვლადიმერ ულიანოვი. შემდეგ ყველასათვის ცნობილი გვარით — ლენინი!

... მეფის მთავრობამ „ბრძოლის კავშირს" ლახვარი ჩასცა — 1895 წლის დეკემბრის დამდეგს დაუპატიმრეს მისი მოღვაწეების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ვ. ი. ლენინი ედგა სათავეში.

ლენინი პეტერბურგის საპატიმროში მოთავსებულ. აქ, ცალკე საკანში, მან 14 თვეზე მეტი გაატარა. 1897 წლის 13 თებერვალს ლენინს გამოუცხადეს განაჩენი — 3 წლით აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება.

1897 წლის თებერვალი იყო. „ბრძოლის კავშირის" წევრებმა გადაწყვიტეს სამახსოვრო ფოტოსურათი გადაეღოთ. ვინ იცის, როგორ წარიმართება ცხოვრება?

ვლადიმერ ილიას ძის გვერდით გლებ კრჟიჟანოვსკია, ტექნოლოგიური ინსტიტუტის ახალი კურსდამთავრებული ინჟინერი. იგი უკვე ოთხი წელია იცნობს ულიანოვს. კრჟიჟანოვსკი აღტაცებულია მისი ერუდიციით, მასში ნამდვილ რევოლუციურ ლიდერს ხედავს.

ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილთაგან მხოლოდ გ. მ. კრჟიჟანოვსკის და ვ. ვ. სტარკოვს ხვდათ ბედნიერება ხორცშესხმული ენახათ ლენინის იდეები.

გადასახლებაში ტუბერკულოზით გარდაიცვალა ა. ა. ვანეევი. მძიმე ავადმყოფობამ იმსჭვარპლა პ. კ. ზაპოროჟეცი. ა. ლ. მალჩენკო 1897 წელს არხანგელსკის გუბერნიაში სამი წელით იყო გადასახლებული, შემდეგ ჩამოშორდა რევოლუციურ მოძრაობას. ლენინიზმის იდეური მოწინააღმდეგე გახდება ი. ო. მარტოვი (ცედერბაუმი).

მაშინ კი, 1897 წლის თებერვალში, მათ ციმბირი ელოდათ!

ვიკილის 20 წელი, და იგი, ვინაც სიბრძნის, ღრმა ცოდნის, წინდა შორს ხედვის, განსვენების უნარისათვის 23 წლისას მეგობრები უკვე „მოხუცს" უწოდებდნენ, იგი, ვის წინააღმდეგაც იბრძოდა თვითმპყრობელობის მთელი მექანიზმი, მის მიერ შექმნილი და დარაზმული პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის სახელით 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე იტყვის:

„ამხანაგებო! მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მოდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა... გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!".

1897 წლის მაისში ვლადიმერ ილიას ძე ჩავიდა სოფელ შუშენსკოეში.

აქ, შუშენსკოეში, 1898 წლის მაისის დამდეგს ვლადიმერ ილიას ძესთან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია ჩამოვიდა, რომელსაც „ბრძოლის კავშირის" საქმეზე უფის გუბერნიაში სამი წლით გადასახლება ჰქონდა მიღებული. ეს ორნი ერთად ცხოვრობდნენ ერთ ოთახში ფიქრობენ, ერთ ოცნებას ოცნებობენ, ერთ საქმეს საქმიანობენ.

ერთი ქრესტომათიული ფოტოს გამო

სკილი, მაგრამ ითხოვა ციმბირში გაგზავნა. აქვე, შუშენსკოეში, ლენინი და კრუპსკაია დაქორწინდნენ. მათ ქორწილში იყვნენ შუშენსკოეში გადმოსახლებული ამხანაგები და ადგილობრივი გლეხები — ვლადიმერ ილიას ძის მეგობრები.

გადასახლების სამი წელი დიდი, ძნელი მუშაობით იყო აღსავსე. ვლადიმერ ილიას ძემ დაწერა 30-ზე მეტი შრომა, დაამთავრა დიდი თეორიული ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში".

1899 წელი ვლადიმერ ილიას ძის, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას და სხვა გადასახლებული სოციალ-დემოკრატების ცხოვრებაში დიდი იმედის წელი იყო. ამ წელს ლენინმა დაწერა თავისი სახელგანთქმული „რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი". მასში ავტორმა ამხილა „ეკონომისტების" მცდარი, მუშათა საქმისათვის მავნე შეხედულებანი და დასახა რუსი სოციალ-დემოკრატების ძირითადი ამოცანები. „მხოლოდ დამოუკიდებელი მუშათა პარტია, — ნათქვამია ამ ისტორიულ დოკუმენტში, — შეიძლება იყოს მტკიცე დასაყრდენი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში..."

და როცა ლენინმა გადაწყვიტა ამ დოკუმენტისათვის კოლექტიური პოლიტიკური რეზოლუციის ხასიათი მიეცა, მან ამხანაგები მოიწვია არა თავისთან, შუშენსკოეში, არა ტესინსკოეში ან ბიხუსინსკში, სადაც გადასახლებაში იყო მისი მრავალი თანამებრძოლი, არამედ ერმაკოვსკოეში, რათა მძიმე ავადმყოფს, ლოგინად ჩავარდნილ ვანეევსაც მიეღო ონწაფილობა ამ თავისებურ კონფერენციაში, რომელიც შემდეგ ისტორიაში შევიდა.

ასე შეიკრიბა სხდომაზე გადასახლებული 17 სოციალ-დემოკრატი.

ყველანი ერთად რომ დატეულიყვნენ, ანატოლი ვანეევის საწოლი დიდ ოთახში გადმოტანეს. ავადმყოფი დიდხანს კითხულობდა პროექტს თავისთვის. ბერე დაუშვა დაღლილობისაგან აკანკალებული ხელი, რომელშიც ფურცელი ეჭირა.

— ჩემი აზრით, ყველაფერი სწორია... თქვენ ხომ განიხილეთ, უეჭველად მოილაპარაკეთ ყოფილა, მერე დაქაბული ხმით იკითხა: მე არ ვცდები? ერთხმად?

— კენჭი არ გვიყრია, უპასუხა ვლადიმერ ილიას ძემ, — უშენოდ არ გვინდოდა...

„უშენოდ არ გვინდოდა"... ლენინის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები ნიშნავდა, რომ ბრძოლასა და გასაჭირში გამოწრთობილი რევოლუციური ამხანაგობის კანონი არ დაირღვევა, ვიდრე ერთიანი აზრი, საერთო საქმე ერთმანეთთან აკავშირებს მათ.

ჩვიდმეტმა გადასახლებულმა მარქსისტმა ერთხმად მოიწონა და ხელი მოაწერა ამ ლენინურ დოკუმენტს.

რამდენიმე დღის შემდეგ ვანეევი გარდაიცვალა. ერმაკოვსკოეში დაუყოვნებლივ ჩამოსულმა ვლადიმერ ილიას ძემ ამხანაგისა და მეგობრის საფლავთან სიტყვა წარმოსთქვა.

სოფელ ერმაკოვსკოეში, სასაფლაოზე, შუშენსკოედან ორმოცი კილომეტრზე, შეიძლება ნახოთ სადა ობელისკი და თუჯის დაფა ლენინის მიერ შედგენილი წარწერით: „ანატოლი ალექსანდრეს ძე ვანეევი, პოლიტიკური გადასახლებული, გარდაიცვალა 1899 წლის 8 სექტემბერს, დაბადებიდან 27 წლისა. განისვენე, ამხანაგო!".

მიხეილ სილვინი — პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე, შემდგომში ვლადიმერ ილიას ძის შესახებ წერდა: „აი, იგი — ჩვენი ბელადი, ჩვენი ლიდერი, ჩვენი თეორეტიკოსი, მასთან ჩვენ არ დავიკარგებით. ასე ფიქრობდა ყოველი ჩვენგანი, და ჩვენ მოღვაწე სიხარული გვგასებდა იმის გამო, რომ სწორედ ჩვენს ორგანიზაციაში გვყავს ასეთი ნათელი გონების მქონე ადამიანი".

გადასახლებაში ლენინმა მოიფიქრა და შეიმუშავა არალეგალური საერთო რუსული გაზეთის „ისკრის" გამოცემის და რუსეთის ეუმპარიტად რევოლუციური პარტიის შექმნის გეგმა.

დამთავრდა გადასახლების ვადა და ამხანაგები გაიფანტნენ...

მიმდინარეობს ბრძოლა, დუღს ვნებანი. ზოგიერთი ყოფილი მეგობარი და თანამოაზრე ახლა ერთმანეთის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გახდნენ. გლებ კრჟიჟანოვსკი ცდილობს შეარიგოს ისინი, როლებმაც ოდესღაც ერთად დაიწყეს რევოლუციური მოღვაწეობა.

ვ. ი. ლენინის დამახასიათებელი ნიშანი — თავდადებული ბრძოლა მშრომელთა ინტერესებისთვის — ორგანულად იყო შეხამებული პარტიულობასთან, პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლასთან. იგი უყოყმანოდ წყვეტდა კავშირს ყოფილ მეგობრებთან, რომლებიც მუშათა კლასს განუდგებოდნენ. ცნობილია, რა ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვლადიმერ ილიას ძეს მარტოვთან, რომელსაც ლენინი თავის დროზე დიდ პატივს სცემდა. მარტოვი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა მცირე წრეს, რომლებსაც ლენინი „შენობით" მიმართავდა. ზაგრამ როცა მარტოვი პარტიის II ყრილობაზე ოპორტუნიზმის გზას დაადგა, ლენინმა გადაჭრით გაწყვიტა მასთან მეგობრული ურთიერთობა.

ან კიდევ: ლენინი დიდად აფასებდა პლეხანოვს, რუსეთში მარქსიზმის ერთ-ერთ პირველ პროპაგანდისტს. მაგრამ როდესაც პლეხანოვი მენშევიზმისაკენ გადახარა, ვლადიმერ ილიას ძემ ასევე გადაჭრით დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ, ხოლო როცა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში პლეხანოვი სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე დადგა, ლენინმა მასთან ურთიერთობა გაწყვიტა...

996 მოელვარე დღე გაატარა ლენინმა ციმბირის მივარდნილ სოფელ შუშენსკოეში. და აი, 1900 წლის 29 იანვარს დილით ადრე ვლადიმერ ილიას ძემ და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა სამუდამოდ დატოვეს შუშენსკოე. მათი წიგნებით სავსე ყუთები 256 კილოგრამს იწონიდა.

... გადის წლები, და აი, 1918 წლის მაისს გლებ კრჟიჟანოვსკი შეხვდა ვლადიმერ ილიჩს. მათ თითქმის 12 წლის განმავლობაში არ ენახათ ერთმანეთი.

კრჟიჟანოვსკი რუსეთში ისკრული ორგანიზაციის შექმნაში ვ. ი. ლენინის საიმედო თანაშემწე იყო. იგი, რსდმპ II ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს. იყო რუსეთის სამი რევოლუციის აქტიური მონაწილე. რევოლუციონერმა და მეცნიერმა, ინჟინერმა და პოეტმა, რუსეთის პროლეტარიატს უძღვნა ერთ-ერთი შესანშნავი რევოლუციური სიმღერა „ვარშავიანკა", რომელიც ასე უყვარდა ლენინს, კრჟიჟანოვსკი იყო საგამო კომისიის პირველი თავმჯდომარე, „გოელროს" გეგმის ერთ-ერთი შემქმნელი. მან მთელი თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ქვეყნის ელექტრიფიკაციის საქმეს მიუძღვნა. იგი 1959 წელს გარდაიცვალა.

ვასილი სტარკოვი კი რეაქციის წლებში ჩამომორდა აქტიურ პარტიულ მუშაობას, მაგრამ ბოლშევიკებთან კავშირი არ გაწყვეტია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში. იყო სსრკ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე ბერლინში. გარდაიცვალა 1925 წელს.

ასეთია ამ უნიკალური ფოტოსურათის ისტორია. მასზე აღბეჭდილთა დიდმა უმრავლესობამ განვლო ცხოვრებისა და ბრძოლის სახელოვანი გზა, რომელიც არასოდეს მოეცალა დაგიწყებას.

ეს ფოტოსურათი, რომელიც ქრესტომათიული გახდა და ისტორიის გასაცნობად დიდად მეტყველია, ამშვენებს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის და მისი ყველა ფილიალის ექსპოზიციას.

ყოველივეს, რაც დიდი ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული, მუდამ ინტერესით ვეცნობით და ვიგონებთ.

სამოც წელზე მეტი გავიდა ბელადის გარდაცვალებიდან, მაგრამ მისადმი სიყვარული და იმედი დედამიწის ყველა კუთხეში კი არ ჩაქრა, არამედ კიდევ უფრო გაღვივდა.

და ასე იქნება აწ და მარადის!

ლენინის სახელი ყველა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

ფილიპე მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

საკდესის ცნობა

შეპირაპირება ორბიტაზე

1987 წლის 18 იანვარს 10 საათსა და 27 წუთზე მოსკოვის დროით „პროგრეს-27" ავტომატური სატვირთო ხომალდი შეუპირაპირდა „მირ" ორბიტულ სადგურს.

ურთიერთძებნა, დაახლოება, მიდგომა და შეპირაპირება შესრულდა კოსმოსური აპარატების საბორტო ავტომატიკის მეშვეობით. ამ პროცესებს აკონტროლებდა ფრენის მართვის ცენტრი მიწისზედა საკომანდო-გასაზომ კომპლექსთან ურთიერთმოქმედებით.

„პროგრეს-27" სატვირთო ხომალდი სადგურს შეუპირაპირდა საავრეგატო ნაკვეთურის მხრიდან. ორბიტაზე მიტანილია სათბობი გაერთიანებული ხაძრავი დანადგარისათვის და სხვა სახარჯო მასალა, რომელიც აუცილებელია „მირ" სადგურის შემდგომი ფუნქციონირებისათვის.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით „მირ"-„პროგრეს-27" ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ᲩᲐᲠᲘᲡᲩᲘ

რაოდენობაში გადადის

პროდუქციის ხარისხის მიმართ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა „ბარომეტრის" მგრძნობელობა მუდმივად იზრდება. ოდინდელი პრობლემებიდან — რა, რამდენი და როგორი ვაწარმოოთ — ეს უკანასკნელი ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგას მთელი ქვეყნისა და რესპუბლიკის სეფერული კოლექტივების წინაშე.

მაღალი ხარისხის პროდუქცია უთუოდ პრესტიჟის საქმეა. ვისაც სხვაზე მეტად სრულქმნილი ნახელავი გამოსდის, მისი ავტორიტეტიც უფრო დიდია. შექმნილი საზოგადოებრივი დოვლათის კარგი ხარისხი უპირველესად საერთო ინტელექტუალური, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, კვალიფიციური პოტენციალის კულტურული განვითარების დონის ინდიკატორია. მაგრამ პროდუქციის ხარისხის მნიშვნელობამ წინ წამოიწია არა მარტო მორალური ფაქტორის, არამედ უფრო მეტად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე სიტუაციის იმანენტურ მოთხოვნათა ძალით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად გაძლიერდა წარმოების დინამიზმი, დაჩქარდა ბევრი სახეობის ნაკეთობათა მორალური ცვეთა, რაც ართულებს პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემას. პროდუქციის წარმოების ბუნებრივი რესურსების შეფარდებითი შეზღუდულობა მატულობს, რის გამოც საჭიროა განხორციელდეს წარმოების რესურსდამზოგავი ღონისძიებები. უპირველესი მნიშვნელობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაა. ბევრი სახეობის პროდუქციის მწვავე დეფიციტის გაქრობისა და არჩევის საშუალების გაფართოების გამო დაბალი ხარისხის საქონელს მომხმარებელმა ზურგი აქცია, როცა იგი წინათ მას ყიდულობდა.

დიდად განვითარებულ ქვეყნებთან საქონელგაცვლის გაფართოება, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა, მოითხოვს პროდუქციის დიდ კონკურენტუნარიანობას.

როგორც ცნობილია, ხარისხი რაოდენობაში გადადის. კონკრეტულ ეკონომიკურ სიტუაციაში ეს იმით გამოიხატება, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება მისი რაოდენობის გადიდების ტოლფასია. მეტი მოთხოვნილება შეიძლება უკეთესი ხარისხის იმავე ან ნაკლები რაოდენობით დაკმაყოფილდეს, რაოდენობის ზრდის პრობლემა ხარისხის გაუმჯობესების გზით გადავწყვიტოთ.

უკეთესი ხარისხის პროდუქცია აკმაყოფილებს ადამიანთა მოთხოვნილებებს და ამით მათ აშორებს ბევრ დამატებით საზრუნავს, კარგ გუნება-განწყობილებაზე აყენებს, რასაც მცირე მნიშვნელობა როდი აქვს შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში.

იზრდება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების როგორც რესურსდამზოგი ფაქტორის მნიშვნელობა. მისი მეშვეობით შეიძლება გავწიოთ დიდძალი კაპიტალური დაბანდებების, ნედლეულის, მასალების, შრომის, ძირითადი ფონდების ეკონომია, ესე იგი გავზარდოთ მათი უკუგება. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ინტენსიური განვითარების გზაა. ხარისხი რაოდენობაზე იაფია. ზოგჯერ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება 3-4-ჯერ უფრო ნაკლები ჯდება, ვიდრე უმისოდ დოვლათის საჭირო რაოდენობით გადიდება. ამიტომაც აქვს მნიშვნელობა ხშირ შემთხვევაში რაოდენობის ზრდის ხარისხობრივი ზრდით შეცვლას.

ამავე დროს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ფართო გაგებით ნიშნავს არა მარტო არსებული ნაკეთობების გაუმჯობესებას, არამედ სრულიად ახალი, პრინციპულად განსხვავებული, ტექნიკურად რთული პროგრესული ნაკეთობებისათვისებასა და გამოშვებას, რის შედეგადაც საერთოდ თვისებრივად უმჯობესდება მთელი საზოგადოებრივი პროდუქტი, კმაყოფილდება ახალი გაზრდილი მოთხოვნილებები. ყოველივე ამას კი პროდუქციის რაოდენობის ვერავითარი ზრდით ვერ მივაღწევდით. რაოდენობის ხარისხში გადასვლა აქ განსაკუთრებული სიღრმით ვლინდება.

ამრიგად, ეკონომიკური განვითარება პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკური დონის ამაღლების გზით საზოგადოებისათვის ყველაზე ხელსაყრელია. მას დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს, რადგან ხელს უწყობს შრომის პროცესის შემსუბუქებას, სრულყოფას, მთელი ცხოვრების წესის, პირობების ჰუმანიზაციას. ჩვენი მრეწველობის მიერ გამოშვებულ დამმუშავებელ ცენტრებთან (მანქანათა სისტემასთან) ოპერატორის მუშაობა ინჟინერ-მკვლევრის შრომას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე წინანდელი მუშისას.

უარიანი იქნება ვთქვათ. რომ ახლა საზოგადოების სიმდიდრის ზრდის გადამწყვეტი პირობა პროდუქციის ხარისხობრივი გაუმჯობესებაა. საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით წარმოების შედეგის გარდამეტობა დანახარჯის მიმართ ეკონომიკური პროგრესის კანონია. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება კი ამ გარდამეტობას ზრდის. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ როგორც წარმოებაში, ისე ყოფა-ცხოვრებაში მოხმარებას შეიძლება ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ რეალურად არსებული შესაძლებლობები მთლიანად ვერ გამოიყენება.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ რეალურად არსებული შესაძლებლობები მთლიანად ვერ გამოიყენება.

პროდუქციის სახელმწიფო მიღება არ შეიძლება მხოლოდ ორგანიზაციულ ღონისძიებად მივიჩნიოთ. თავისი შინაარსითა და მიმართულებით იგი კომპლექსური ხასიათისაა, დაკავშირებულია სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის, ეკონომიკის მართვის ახალი მეთოდების დანერგვასთან. სახელმწიფო მიღება ზრმოგვიდგება პროდუქციის ხარისხის მართვის ერთიანი პროცესის ახალ ელემენტად, რომელმაც მეტი ქმედითობა უნდა მიანიჭოს აღნიშნულ სისტემას.

პროდუქციის სახელმწიფო მიღებამ ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს ცალკეულ საწარმოებში ხარისხის მდგომარეობის კონტროლი, ანალიზი, დიაგნოსტიკა, ხარვეზების მიზეზების ძიება და ხელი შეუწყოს სათანადო ხარისხის უზრუნველყოფას, მის შემდგომ გაუმჯობესებას.

ამ ფუნქციის შესრულება კი მაშინ იქნება რეალური, თუ ავამოქმედებთ თითოეული მშრომელი ადამიანის, მთელი კოლექტივების შემოქმედებით და შრომით შესაძლებლობათა რეზერვებს, ადამიანის ფაქტორის ულევ ენერგიას. ძირეული ძვრების მისაღწევად აუცილებელია თვისებრივად გარდაქმნათ ბევრი საწარმოს ტექნიკური ბაზა, ხელახლა აღეჭურვოთ ისინი ახალი ტექნიკის საფუძველზე: მკვეთრად გავაუმჯობესოთ ახალი პროდუქციის შექმნისათვის მეცნიერულ-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო მუშაობა, ავამაღლოთ ამ დარგის სპეციალისტთა კვალიფიკაცია. დავაჩქაროთ პროდუქციის განახლების ტემპი, უზრუნველყოთ გეგმაზომიერი და თანაბარზომიერი რიტმული მუშაობა საერთოდ, აგრეთვე მომარგება, ავამაღლოთ მუშაობის ორგანიზაციის დონე, განვამტკიცოთ შრომითი, ტექნოლოგიური, საგეგმო დისციპლინა, აღვკვეთოთ ნეგატიური მოვლენები (მატერიალურ ფასეულობათა დატაცება-მითვისება, წამატებები, იერიშობანა, ადამიანთა უპასუხისმგებლობა, გულგრილობა საქმის მიმართ).

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ეფექტიანი მაშინ იქნება, როცა იგი ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს დაემყარება. მეურნეობის გარდაქმნის ახალი ღონისძიებები თავისი ჩანაფიქრითა და მასშტაბით, სიღრმით რევოლუციური, ძირეული ხასიათისაა.

უპირველესად, საჭიროა ეკონომიკური ბერკეტების სრულყოფა. ამისაკენ ამ მხრივ დაგეგმვის გარდაქმნაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმეკულლობი ვალდებულებების შესრულების წინ წამოწევას. უპირატესობა უნდა მიეცეს ხარისხობრივ მაჩვენებლებს რაოდენობრივთან შედარებით. საწარმოები უნდა გთავისუფლდნენ ადრე არსებული ისეთი პირობებისაგან, როცა პროდუქციის რაოდენობა თითქოსდა თვითმიზნად იყო ქცეული, მოქმედებდნენ პრინციპით: „ბევრი, სულ ერთია, როგორი იქნება". რაოდენობით გატაცების ინერცია მძიმე აღმოჩნდა. ახლა შემობრუნება დაიწყო სწორი ორიენტაციისაკენ და კი შემობრუნება ბოლომდე უნდა განვახორციელოთ. პროდუქციის წარმოების სიდიდე უნდა განსაზღვრონ მომხმარებლებმა და მწარმოებლებმა.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობათა ამოქმედების გადამწყვეტი ფაქტორი სტიმულებია და, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური. დაინტერესება ძირითადად განსაზღვრავს მუშის, ინჟინრის, კონსტრუქტორის, მეცნიერის, წარმოების ორგანიზატორის აქტიურობას, მონდომებას, ენერგიულობას, ძალების მობილიზაციას უშუალოდ წარმოების პროცესის დროს თუ კვალიფიკაციის ამაღლებისას, ტექნიკური სიახლეებისა თუ ორგანიზაციული გარდაქმნების ძიებისას. ადამიანი, როგორც წესი, თავის შესაძლებლობებს იმ დონეზე იყენებს, როგორ ანაზღაურდება მისი შრომა. თუ უკეთ მუშაობა უფრო მეტ ანაზღაურებას არ იწვევს, მუშაკის შესაძლებლობათა ნაწილი გამოუყენებელი რჩება და იკარგება. ასეთი დანაკარგები კი უზარმაზარია ჩვენს სინამდვილეში.

გამოთქმა—„როგორც გვიხდიან, ისე ვაკეთებთ" სწორად გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობას, ეს მიგვანიშნებს, რომ სტიმულირება სწორ პრინციპზე უნდა ავაგოთ. ანუ იგი უნდა უზრუნველყოფდეს მუშაკთა პოტენციალის მცირე რაოდენობით: მანქანათმშენებლობის ნაკეთობათა წილი საექსპორტო პროდუქციაში მცირეა.

პროდუქციის სახელმწიფო მიღების შესახებ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე აღინიშნა, რომ უხარისხო პროდუქციის გამოშვება საზოგადოებრივი შრომის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და საერთოდ ჩვენი ეროვნული სიმდიდრის ფლანგვის ყველაზე საში ფორმაა. გასულ წლებში ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ნაწილი მომხმარებლისათვის უვ

აზროვნება

ფაქტები • მოვლენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРОБЛЕМЕБИ ДА ГАНСЯ

დღევანდელობის მოთხოვნათა გამომხატველი

დიზაინერთა და ერგონომისტთა კადრების მომზადებისათვის

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელია, რომ ყველა პირობა შეექმნას მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვას. ახალი ტექნიკის კომპიუტერიზაცია, რობოტიზაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ცხადია, სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებსაც მოითხოვს.

ტექნიკური პროგრესის კვალობაზე წინა პლანზე დგება დიზაინის პრობლემებიც. და ეს სავსებით ბუნებრივია. დიზაინი ხომ აძლიერებს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას, ხელს უწყობს სხვა დარგებს, შექმნილ უფრო მოხერხებული, მიმზიდველი, დასახული მიზნის შესაფერისი მაღალხარისხოვანი პროდუქცია, იგი დროის მოთხოვნილებებისა და ეპოქის მიღწევათა გამომხატველია. მისი მეოხებით პროდუქცია იღებს ეკონომიურ, ესთეტიკურ, კონკურენტუნარიან სახეს. ბევრად განპირობებს შრომის პროცესების ორგანიზებას. დიზაინი და ერგონომიკა ემსახურება ყველა იმ საკითხის გადაწყვეტას, რომლებიც არა მარტო ზრდის შრომის ეფექტიანობას, არამედ თვით შრომას აქცევს სიამოვნებად, აუმჯობესებს შრომის პირობებს. თანამედროვე ცხოვრების სწრაფი რიტმის პირობებში, როდესაც ცვლილებებს განიცდის შრომის ხასიათი, ერგონომიკა და დიზაინი გვეხმარება ფსიქოლოგიურად მისაღები გავხადოთ რთული სამრეწველო პროცესები.

და აი, ასეთ დროს ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა დიზაინერთა და ერგონომისტთა ნაკლებობა. სპეციალური საკონსტრუქტორო-საპროექტო ბიუროებისა და მსხვილი სამრეწველო საწარმოების დიზაინერთა ჯგუფები არც სპეციალისტთა რაოდენობით, არც მათი მომზადებითა და უფლებებით არ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნას.

საჭიროა, რომ უკვე მომდინარე ხუთწლედისათვის ამ სპეციალისტთა კონტინგენტი 300-მდე გაიზარდოს.

საკითხს დროულ გადაწყვეტაზე თავისი სიტყვა უნდა თქვან საელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ.

რესპუბლიკაში დიზაინერებს დღეს მხოლოდ სამხატვრო აკადემიაში ამზადებენ. იქაც მხოლოდ 5-6 კაცს, რაც ძალზე ცოტაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სპეციალობას მიხედვით არ მუშაობს. კერძოდ, მეთერთმეტე ხუთწლედში ამ განხრით აკადემია 38 კაცს დაამთავრა, ამათგან სპეციალობით მუშაობას შეუდგა მხოლოდ 12, დანარჩენებმა სხვა საქმეს მოჰკიდეს ხელი. ვფიქრობთ, პროფესიას უპირატესად განუდგა ის ხალხი, რომელმაც იგრძნო, რომ ხელირიანად ვერ დაეუფლა მას. ამიტომაც აჯობებს, თუ დიზაინერის პროფესიის შესწავლას საფუძველი ჯერ კიდევ პროფესიულ სასწავლებლებში ჩაეყრება. დიახ, კარგი იქნება, იქ ასწავლიდნენ ტექნიკური ესთეტიკის, დიზაინისა და ერგონომიკის საფუძვლებს, ეს ხელს შეუწყობს მოწაფეების შრომითს აღზრდას, განუვითარებს მათ მოცულობით-სივრცობრივ წარმოდგენას, ფანტაზიას...

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ შევა დიზაინის ფაკულტეტზე, ამ სპეციალობაზე პირველ ყოვლისა უნდა მივიღოთ ქარხანა-დაწესებულებათა წარგზავნილები, წელიწადში 25-30 კაცი მაინც.

რაღა თქმა უნდა, საქმისთვის საჭიროა, რომ დაწესებულებათა ხელმძღვანელობამ დროულად წარადგინოს ხოლმე მოთხოვნა სპეციალისტებზე, რაც ახალკურსდამთავრებულთა განაწილების საშუალებას ქმნის. კადრების მომზადება უთუოდ მოითხოვს სწავლების პროგრამებისა და მეთოდიკის სპეციალურ შესწავლას. სწავლებაში სათანადო ცვლილებების შეტანას, დიზაინის, ერგონომიკისა და მოდელირება-მაკეტირების კურსის გაზრდას, ზოგიერთი საგნის კურსის შემცირებას. აუცილებელია უნდა გავამახვილოთ ინდივიდუალურ შემოქმედებითს მუშაობაზე, რომლისთვისაც დღეს სტუდენტებს ნაკლები დრო რჩებათ. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, მოითხოვს დიზაინერთა სწავლების ვადის 6 წლამდე გაზრდას. სასურველია კურსდამთავრებულ დიპლომი მიეცეს მერე, როცა იგი ერთ წელს იმუშავებს და სათანადო შეფასებასაც დაიმსახურებს.

დიზაინთან დაკავშირებული თანამედროვე აქტუალური საკითხების შესასწავლად, ახალი ლიტერატურისა და ინფორმაციის გასაცნობად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეოთხეკურსელები საწარმოო პრაქტიკაზე ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში წარგზავნონ. იქ მათ შეესძლებათ მიეცემათ გაეცნონ სხვადასხვა განყოფილების მუშაობას, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ზოგიერთი ობიექტის დაგეგმარებაში. რაც შეეხება მომიჯნავე სპეციალობებს, ვფიქრობთ, საჭიროა სხვ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების შესაბამისად არაერთ უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამედიცინო ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში გადასინჯოს პროგრამები და გაითვალისწინონ დიზაინისა და ერგონომიკის საფუძვლების სწავლება ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, საინჟინრო-ტექნიკური არქიტექტურის, ჰიგიენის, ფიზიოლოგიისა და სხვა მონათესავე სპეციალობებზე.

ამავე დადგენილების თანახმად, სათანადო ხელმძღვანელობისათვის უნივერსიტეტთან უნდა შეიქმნას ერგონომიკის უმაღლეს სასწავლებელთაშორისი კათედრა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოდაწესებულებებს ისეთი დარგის სპეციალისტებით, როგორიც არის დიზაინერები, ერგონომისტები, შრომის ჰიგიენისტები, შრომის ეკონომისტები და ა. შ. სასურველია თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი ყოველწლიურად ხუთ ახალგაზრდას ამზადებდეს დიზაინერ-ექსპერტის სპეციალობით.

დარწმუნებული ვართ, დიზაინერთა კადრების დენდობის უმთავრესი მიზეზია მცირე ხელფასს. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ახალკურსდამთავრებულთა შრომითს ანაზღაურებს. თავად განსაჯეთ, ახალგაზრდა სპეციალისტის ხელფასი 115 მანეთს არ აღემატება. რა გასაკვირია, თუ იგი ეცდება თავიდანვე იშოვოს ისეთი სამსახური, სადაც მეტი ხელფასი ექნება!

უკეთესი მდგომარეობა არც გამოცდილ, კვალიფიციურ დიზაინერებს აქვთ.

დიზაინერი მოვალეა აქტიურად მონაწილეობდეს ახალი პროდუქციის შექმნაში — მისი პროექტებით დაწყებული და გაფორმებითა და შეფუთვით დამთავრებული. ამიტომაც იგი კარგად უნდა იცნობდეს სამრეწველო გრაფიკას, შეეძლოს ახალი მასალების სწორი შერჩევა, ერკვეოდეს ელექტრონიკაში, საინჟინრო ფსიქოლოგიაში, ერგონომიკაში, არქიტექტურასა და სხვა სპეციალობებში.

მრავლისმეტყველი, სასიამოვნო ფაქტია ის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს დაევალა ტექნიკური ესთეტიკისა და ერგონომიკის სპეციალისტთა დონის და კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ყოველწლიურად აქ თავს მოიყრიან აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან წარმოგზავნილი სპეციალისტები. მათ ლექციებს წაუკითხავენ ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების აღიარებული სპეციალისტები. ინსტიტუტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კავშირურთიერთობის განმტკიცებას მეცნიერებსა და პრაქტიკოს ინჟინერ-ტექნიკოსებს შორის.

სპეციალისტთა სათანადო კადრების მომზადება, მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთი უპირველესი პირობაა, ამიტომაც სჭირდება ამ საქმეს მუდმივი, შეუნელებელი ყურადღება.

ნ. ზოზიტაიშვილი,
ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი.

ზამთარში არ უნდა გვცივდეს

სარედაქციო ფოსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალაქის თბომეურნეობის მისამართით შარშან გაცილებით მეტი საჩივარი შემოდიოდა, ვიდრე წელს. აშკარად კანტიკუნტად თუ გამოჩნდება განცხადება ამ თემაზე. ეტყობა, ზამთრისათვის სამზადისს პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ხელმძღვანელები, ეს ასეც იყო, მაგრამ თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს ყველა სამსახური სრულ წესრიგს მაინც ვერ დაიკვეხნის.

სამგორის ქუჩის 30-ე სახლში მცხოვრებ რ. მარტიროსიანს მიუმართავს 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარისთვის განცხადებით, რომ 8 წელიწადია ცხოვრობს ამ ბინაში და ამ ხნის მანძილზე გათბობისა და ცხელი წყლის უქონლობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო. ათასში ერთხელ თუ გათბება რადიატორები და იშვიათად თუ იღებენ ცხელ წყალს, თორემ მუდმივად ეს სიკეთე არ გვღირსებიათ. რაიაღმასკომს განცხადება უყურადღებოდ დაუტოვებია, და ამიტომ მობინადრეებმა სხვა ინსტანციას მიმართეს კოლექტიური საჩივრით.

ვაზისუბნის მე-3 კორპუსის მცხოვრები გ. ივანიშვილი ჩივის ცხელი წყლის მიუწოდებლობის გამო. მათს კორპუსში თურმე ცივი წყალი დილით მოდის, ხოლო ცხელი წყალი — შუადღეს, როცა ცივი წყალი უკვე შეწყვეტილია.

კოლექტიური საჩივრით მიმართეს თბომეურნეობის სამმართველოს ვარკეთილის მეორე მიკრორაიონის მე-11 კორპუსის მცხოვრებლებმა კ. ინაძემ, ც. კობერიძემ და სხვებმა. მათაც ცხელი წყლის მიუწოდებლობა და გათბობის მიუწესრიგებლობა აწუხებთ. თბომეურნეობაში შემოსული განცხადებების უმეტესობა 26 კომისრის რაიონის იმ უბნიდან არის, რომელსაც ემსახურება თბომეურნეობის რაიონული კანტორის მე-20 თბოსადგური. საქმის ვითარების კარგად გასაცნობად ვეწვეთ თბომეურნეობის 26 კომისრის რაიონის საექსპლოატაციო კანტორას.

ვარკეთილის მეორე მიკრორაიონში თბოფიკაციებთან პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა ზონალური რეზერვუარების მოწყობა. წყლის მიუწოდებლობის შემთხვევაში, ცხადია, გათბობაშიც შეფერხებებია. იძულებულ იყვნენ დეკემბრის შუა რიცხვებში დაემონტაჟებინათ ორი რეზერვუარი, რითაც საშუალება მიეცათ შეექმნათ წყლის მარაგი და მდგომარეობა გეუმჯობესებინათ, ეხლა ცხელი წყალიც და გათბობაც შეუფერხებლად ეძლევა მეორე მიკრორაიონს.

არ შეიძლება ითქვას, რომ მე-20 თბოსადგურის ზონა უყურადღებოდ იყოს მიტოვებული, უფრო მეტიც, რაც 26 კომისრის რაიონში შარშან თბომეურნეობის ქსელის მოწესრიგებაზე სახსრები დაიხარჯა, 60 პროცენტი მე-20 თბოსადგურზე მოდის, მაგრამ შესრულებული სამუშაოები საკმარისი არ აღმოჩნდა. გათბობის სრული დატვირთვით გაშვებისა და მაღალ პარამეტრებზე გადასვლის შემდეგ ისეთი ადგილები დაზიანდა, სადაც ამას არ ელოდნენ.

ამიტომ მოხდა, რომ 15 დეკემბრამდე დიდად გაუჭირდათ მობინადრეებისათვის გათბობის სტაბილური მიწოდება.

—ახლა საერთო მდგომარეობა გამოსწორებულია, მაგრამ თუ ყინვები დაიჭირა, შეიძლება გაგვიჭირდეს, — ამბობს კანტორის უფროსი გ. ჭიჭინაძე. — მე-20 თბოსადგურის თბოქსელი 28 კილომეტრს უდრის. აქედან ამორტიზებულია 7-10 კილომეტრი, ძველი მილები ახლით შეიცვალა 2 კილომეტრზე, განა ეს საკმარისია? ამავე დროს ამ უბანში 80 სახლია ამორტიზებული. შარშან 19 სახლი შეაკეთებინეს კაპიტალურად, დანარჩენები შესაკეთებელია. ყოველივე ეს იწვევს წყლის ზენორმატიულ დანაკარგებს, ავარიებს, თბოსადგურის არასტაბილურ მუშაობას, შეფერხებებია სითბოს მიწოდებაში მაღლობზე ვაშენებულ მაკროორაიონებში. ამას გარდა, ძალზე ცუდად არის მომარაგების საქმეც. მაგალითად, ჩამკეტი არმატურა, ურდულები ისე ცოტა გვაქვს, რომ საჭიროების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. მუშახელის დაინტერესება და ანაზღაურება მცირეა. ეს პრობლემები გადასაჭრელია.

თბოსადგურის გამართული მუშაობა არსებითად ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდებაზეა დამოკიდებული. წელს წყლის გასაჭირი ალარა გვაქვს, ენერგიის შემოცლითი მაგისტრალის გაყვანის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა, გათბობისა და ცხელი წყლის მიწოდების შეფერხება დიდად შემცირდა, როგორც განცხადებების მიხედვითაც ჩანს, გვაქვს ლოკალური გარღვევები, რომელთა მიზეზებსაც ვსწავლობთ და ყოველდღიურად ვასწორებთ.

კანტორის უფროსის გ. ჭიჭინაძის გულისტკივილი გასაზიარებელია. იგი ახალი მოსულია ამ თანამდებობაზე — მეორე წელია აქ მუშაობს. თუ კომუნალური სამსახური სათადარიგო ნაწილებით არ მომარაგდება, საშუალება არ ექნება ამორტიზებული სახლები და თბოქსელები შეაკეთოს, რაც უნდა მონდომებული ხელმძღვანელი იყოს, ხალხთან ბოლომდე ვერ აღმოფხვრის. აქ დახმარება საჭირო.

მაგრამ არც უფროსები არიან „უცოდველები“. მხედველობაში გვაქვს ისეთი მაგალითები, როგორიც არის სამგორის ქუჩა № 30 მცხოვრებთა მდგომარეობა. 8 წელიწადია ყოველ ზამთარს ისინი სიცივეში ატარებენ, ამის გამო იხარჯება ზედმეტი ელექტროენერგია. 8 წლის „ცოდვას“ გ. ჭიჭინაძეს ვერ მოვკითხავთ, მაგრამ ნაწილი სადარბაზოების მცხოვრებთა ბინები რომ თბება და ნაწილი არა, ამის მიზეზების გარკვევა საჭიროა. III სადარბაზოს 46-ე ბინაში, რომელიც ბ. გუკასიანს ეკუთვნის, გათბობის ქსელი გადაკეთებულია, მიმბაძველები ამ სახლში სხვაც შეიძლება გამოინახოს და შესაძლებელია სწორედ ასეთი გარემოება ახდენს გავლენას გათბობის შეფერხებაზე.

ინდივიდუალურ დადაკეთებებს, რომლებიც გათბობას აფერხებს, თბომეურნეობის კანტორებისა და აღმასკომების მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, თბოქსელი აღადგინონ პირვანდელ მდგომარეობაში. ამს რატომღაც ბოლო ხანს შეეგუენ კომუნალური სამსახურები და პასუხს არ სთხოვენ მობინადრეებს საერთო საქმის გაფუჭებისათვის.

მეორე, რასაც მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, არის გ. ივანიშვილის განცხადების მსგავსი შემთხვევები, როცა ცივი და ცხელი წყლის მიწოდება ერთდროულად არ ხდება. იმის ახსნა, რომ თბოსადგური სხვა ქსელით იკვებება, ხოლო მობინადრეთა წყალგაყვანილობა — სხვა ქსელით და წყლის მიწოდების გრაფიკები ერთმანეთს არ ემთხვევა, საქმეს არ შველის და მობინადრეს არც აინტერესებს, მას სურს ცხელი და ცივი წყალი ერთდროულად მიიღოს. წყალგაყვანილობის ქსელებისა და გრაფიკების რეგულირებისთვის უნდა იბრძოლოს თბომეურნეობის ხელმძღვანელობამ, მიაღწიოს მის მოწესრიგებას.

აი ასეთი აზრები აღგვძრა მოქალაქეთა საჩივრებმა, რომლებიც თბომომარაგების შეფერხებებს ეხება. უგათბობოდ არ უნდა დარჩეს არც ერთი სახლი, არც ერთი ბინა, ზამთარში არ უნდა სცივდეს არც ერთ კაცს. ამას თუ ვერ მივაღწიეთ, ვერ ვიტყვით, რომ თბომეურნეობის სამსახურები უნაკლოდ მუშაობენ.

ნ. ნორაკიძე.

რედაქციისაგან: გადავწყვიტეთ კონტროლი დავუწესოთ მომდინარე წლის ზამთრის სეზონში გათბობის მდგომარეობას, მობინადრეებს ვთხოვთ გვაცნობონ თბომომარაგებისა და თბილი წყლის მიწოდების ყოველი ხარვეზი, რათა შეგვეძლოს გავაანალიზოთ, თუ როგორ მიმდინარეობს გათბობის სეზონი, როგორ ემსახურებიან თბომეურნეობის ორგანიზაციები მოსახლეობას, საწარმოებს, დაწესებულებებს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. არის თუ არა იქ ყველაფერი წესრიგში.

იმედი გვაქვს, მკითხველები აქტიურად გამოგვეხმაურებიან, შეგვატყობინებენ არსებულ მდგომარეობას, დაუფარავად ამხელენ ნაკლსა და ხარვეზს, მოგვაწვდიან მოსაზრებებს, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს მუშაობის გარდაქმნას.

იგი მუდამ ეხსომებათ

რენატო გუტუზოსთან გამოთხოვების სამგლოვიარო ცერემონია

რომი. ასობით ადამიანი შეეკრიბა რომის ძველთაძველი პანთეონის შენობასთან მდებარე მოედანზე, რათა პატივი მიეგო თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვნის, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, მშვიდობის დაუღალავი მებრძოლის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის laureატის მხატვარ რენატო გუტუზოს ხსოვნისათვის. გლოვის ნიშნად დაეხარათ სამფეროვანი ეროვნული დროშები იტალიის პარლამენტის შენობაზე, წითელი ალმები იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაზე. შუა რომში სახლებზე გამოკრული იყო პლაკატები: „გარდაიცვალა ამხანაგი რენატო გუტუზო. იტალიელ კომუნისტებს მუდამ ეხსომებათ იგი“.

სამგლოვიარო მიტინგს დაესწრნენ იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. კრაქსი, დეპუტატთა პალატისა და პარლამენტის სენატის თავმჯდომარეები, იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი.

რენატო გუტუზოს მძიმე ცხოვრების გზის, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი აქტიური მონაწილეობის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დასაბუთებლად დაუღალავი ბრძოლის შესახებ ილაპარაკა მიტინგზე გამოსვლისას იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ალესანდრო ნატამ. მან დაასწერეთ შეახსენა, რომ რენატო გუტუზომ სიყმაწვილის წლებიდანვე დაუკავშირა თავისი ბედი იტალიის კომუნისტურ პარტიას, რომლის ცენტრალური კომიტეტის წევრიც იყო უკანასკნელ წლებში.

„გუტუზოს სიცოცხლის დამამკვიდრებელი შემოქმედება მუდამ დარჩება მადლიერი კაცობრიობის ხსოვნაში“, — განაცხადა მიტინგზე გამოსვლისას ცნობილმა იტალიელმა მწერალმა ალბერტო მორავიამ.

განსვენებულის ნების თანახმად, მას დაკრძალავენ მშობელ ქალაქ ბაგერიაში.

ბოგოტა. კოლუმბიის გამალებული შეიარაღებისა და ბირთვული კატასტროფის მოწინააღმდეგეთა კომიტეტმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ვოსთხოვა ბირთვული გამოცდების შეწყვეტა და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება განიარაღებისათვის. თითქმის წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ნათქვამია კომიტეტის მიერ აქ გავრცელებულ განცხადებაში, მსოფლიო საბჭოთა ბირთვულ პოლიგონებზე გამეფებული სიჩუმის მოწმეა. სსრ კავშირი მტკიცედ იცავს ბირთვული აფეთქებების ცალმხრივ მორატორიუმს, მან თავისი კეთილი ნების დასადასტურებლად არაერთხელ გაახანგრძლივა იგი. ჩვენ, კოლუმბიელი მშვიდობის მომხრენი, ხაზგასმულია დოკუმენტში, ბირთვული იარაღის მკრეხელებს, უწინარესად ამერიკის შეერთებულ შტატებს მოვუწოდებთ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბირთვული აფეთქებები.

ვადერიდი. კეთილი ნების ახალი აქტი უწოდა ესპანეთის ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციათა საკოორდინაციო კომიტეტის წევრმა ლეონ ოტერომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას დაიცვას ბირთვული გამოცდების მორატორიუმი ამერიკის შეერთებულ შტატებმა ჰოწყობილ პირველ ბირთვულ აფეთქებამდე. ეს პოზიცია გასაგებია, უთხრა მან საკადესის კორესპონდენტს, რადგან ვაშინგტონს არ გაუცია კონსტრუქციული პასუხი საბჭოთა კავშირის კომპლექსურ სამშვიდობო ინიციატივებზე. პირიქით, შეერთებული შტატები ნევადაში მორიგი ბირთვული აფეთქების მოსაწყობად ემზადება. თუ რეიგანის ადმინისტრაცია ამ საშიშ და პროვოკაციულ ნაბიჯს გადადგამს, თქვა ლეონ ოტერომ, სსრ კავშირი იძულებული გახდება გააუქმოს თავისი მორატორიუმი. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა პლანეტაზე, კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაირაზმოს, რათა არ დაუშვას თეთრი სახლის მიერ გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი უკიდურესად საშიში ეტაპის დაწყება.

კოლომბო. „ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადება დიდი ნაბიჯი იქნებოდა გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და ბირთვულ კატასტროფაში დაღუპვის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის გზაზე“, — აღნიშნულია აქ გავრცელებულ შრი-ლანკის კომუნისტური, სოციალისტური და სახალხო პარტიების ერთობლივ განცხადებაში. უკვე წელიწადზე მეტია, რაც სსრ კავშირი ცალმხრივი წესით იცავს ყოველგვარი ბირთვული აფეთქებების მორატორიუმს, აღნიშნულია დოკუმენტში. სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებს დღემდე არ გაუცია პოზიტიური პასუხი საბჭოთა კავშირის ამ დიდმნიშვნელოვან პოზიციაზე. ჩვენ მას მოვუწოდებთ დაუყოვნებლივ დაიწყოს კონსტრუქციული მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღწევის მიზნით, ხაზგასმულია განცხადებაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● **სტოკჰოლმი.** როგორც შვეციის დეპეშათა ბიურო იუწყება, პოლიციამ დაკავებულ სამი კაცი, რომლებიც ეგვიპტანელი არიან შვეციის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ულოფ პალმეს მკვლელობის მომზადებაში.

● **კაირო.** 48 საათზე მეტ ხანს მძვინვარებდა ხანძარი ფოსფატების ერთ-ერთ მაღაროში ეგვიპტის ქალაქ საფაგის მახლობლად. კვამლით მოწამვლის შედეგად ორი მუშა დაიღუპა, 40 საავადმყოფოში მოათავსეს.

● **ბუენოს-აირესი.** მეორე კვირაა კოკაინაშოულად წვიმს არგენტინის ფორმოსის პროვინციაში. უჩვეულოდ ადიდდა მდინარეები პილკომაიო და ბერმეხო. დაიტბორა რამდენიმე დასახლებული პუნქტი, არის მსხვერპლი. მთელი რიგი რაიონები გამოცხადებულია სტიქიური უბედურების ზონებად. წყალდიდობისაგან დაზარალებული რაიონებიდან განაზნულია 4,5 ათასამდე კაცი.

გზრ: ბუნდესტაგის არჩევნების წინ

იოჰანეს რაუს პრესკონფერენცია

ბონი. როდესაც 25 იანვარს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის არჩევნების დღეს, ამომრჩეველი ხმას მისცემს სოციალ-დემოკრატებს, ამით იგი ხმას მისცემს დაძაბულობის შენელების პოლიტიკას და სოციალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიან თანაარსებობას, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერობის წამყვანმა კანდიდატმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისგან იოჰანეს რაუმ.

ახლანდელი მმართველი კოალიციის პოლიტიკური მოღვაწეების, უწინარეს ყოვლისა, ბავარიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარის ფრანც-იოზეფ შტრაუსის გამონათქვამები, აღნიშნა რაუმ, მოწმობს, რომ, თუ ახლანდელი მთავრობა ხელისუფლების სათავეში დარჩა, ბონი საბოლოოდ იტყვის უარს დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე და განაზორციელებს შეიარაღების შემდგომი ზრდის კურსს. „დარწმუნებული ვარ, ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა ესწრაფვის იმას, რომ ქვეყანამ იაროს მშვიდობის პოლიტიკის გზით, რომელსაც დასაბამი მისცა ვილი ბრანდტმა“, — განაცხადა ი. რაუმ.

ახლანდელ საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებში სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „მომავალ კენჭისყრამდე დარჩენილ კვირაში მნიშვნელოვნად გაიზარდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოპულარობა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას შორის“. ეს, თქვა მან, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სოციალ-დემოკრატთა პოზიციამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებში. ი. რაუმ მკაცრად გააკრიტიკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი მთავრობის უმოქმედობა მასობრივი უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. სწორედ ბონს, განაცხადა ი. რაუმ, არ სურს განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი და ამიტომ ეკისრება პასუხისმგებლობა ფოლადსამსხმელო მრეწველობის კრიზისისათვის. უახლოეს წლებში ამ დარგში ნავარაუდევია 20 ათასზე მეტი კაცის დათხოვნა. 1987 წლის 16 იანვრის მანიფესტაციებში, რომელთა მონაწილენი პროტესტს აცხადებდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ამგვარი კურსის წინააღმდეგ, მონაწილეობა მიიღო მთელი ქვეყნის 70 ათასზე მეტმა მეფოლადემ.

ავღანეთი:

დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

მხარს უჭერენ ეროვნული დაზავების კურსს

ქაბული. როგორც ბახთარის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ჯუჯანის, ნანგარჰარის, ყუნდუზის, ლაგმანის, ბერათის და სხვა პროვინციებში გაიმართა მშრომელთა მასობრივი მიტინგები და კრებები ავღანეთის ხელმძღვანელობის კურსის — საერთო-ეროვნული მშვიდობიანობისა და სისხლისღვრის შეწყვეტის კურსის მხარდასაჭერად. მიტინგებისა და კრებების მონაწილენი მიესალმნენ ცეცხლის ცალმხრივ შეწყვეტას ა. წ. 15 იანვრიდან და ეს ნაბიჯი მიიჩნიეს მთავრობის დიდმნიშვნელოვან ინიციატივად.

ბალხის პროვინციის მუსლიმიანური სამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა იმამებმა რუსთამმა და შაჰ ნიიმმა განაცხადეს, რომ ყიზლაღების მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კურსს, რომლის მიზანია დამყარდეს მშვიდობა და სამშვიდე ავღანეთში. შეიქმნას მშვიდობიანი პირობები მოქალაქეთა შრომისა და ცხოვრების, თანამემამულეთა სამშობლოში დაბრუნებისათვის. დაზავების დაწყებული პროცესი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის მთელი პატრიოტული ძალების შეკავშირების გზაზე გადაუდებელი რევოლუციური ამოცანების გადასაწყვეტად, ახალი საზოგადოების ასაშენებლად და ქვეყნის პროგრესის უზრუნველსაყოფად.

ეროვნული დაზავების პოლიტიკის შინაარსი და ამოცანები განიხილეს შეხვედრისას ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ჰაჯი მუჰამედ ცამკანიმ და პუშტუნთა ტურის ტომის წარმომადგენლებმა.

ყველა ესწრაფვის, განაცხადა ჰ. მ. ცამკანიმ. მაგრამ ავღანელებისათვის სიტყვა „მშვიდობას“ განსაკუთრებული აზრი ენიჭება, ვინაიდან გამოუცხადებელმა ომმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, აოიარაცხელი ტანჯვა-ვაება მოუტანა ხალხს.

ყურამში (ბაკისტანის ჩრდილოდასავლეთ სასაზღვრო პროვინცია) მცხოვრები ტურის ტომის ბელადებმა და უხუცესებმა დიდი შეფასება მისცეს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეცადინეობას ავღანეთში ეროვნული თანხმობის მისაღწევად. ჩვენის მხრივ, განაცხადეს მათ, განვუმარტავთ ავღანეთში მიმდინარე ამბების არსს როგორც თვისტომებს, ისე იმ ავღანელებსაც, რომლებმაც სამშობლო მიატოვეს და ამჟამად პაკისტანში ცხოვრობენ.

● აშშ

უშედეგო ტურნე

ვაშინგტონი. სრული კრახით დამთავრდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის რიჩარდ მერფის მორიგი ტურნე ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. იგი ეწვია იორდანიას, ისრაელს, ეგვიპტესა და საუდის არაბეთს. პრესის ცნობით, ვაშინგტონის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის ემისარს არაბულ სახელმწიფოებში გულცივად და მტრულადაც კი შეხვდნენ. როგორც მერფისთან მოლაპარაკების დროს იორდანიის მეფე ჰუსეინმა აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ნდობა ახლო აღმოსავლეთში ნულამდე დაეცა. ეგვიპტის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის თქმით, ამერიკამ საბოლოოდ გაიტეხა სახელი არაბი ხალხის თვალში.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალ სააგენტო აღნიშნავს, არაბი ლიდერები სულ უფრო აქტიურად უჭერენ მხარს ახლო აღმოსავლეთის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის იდეას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი.

ოლანეს რაუს პრესკონფერენცია

ბონი. როდესაც 25 იანვარს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის არჩევნების დღეს, ამომრჩეველი ხმას მისცემ

ესაუბრეთ ერთმანეთს

▼▼

ქართული თეატრის დღის თაოსნებურ გაგრძელებად იქცა სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში გამართული ზეიმი, რომელიც დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმის გახსნას მიეძღვნა.

აქ, რეჟისორის მშობლიურ სოფელში შეიკრიბა სანდრო ახმეტელის ნიჭის ათასობით თაყვანისმცემელი. რაიონის მშრომელებთან ერთად ზეიმზე იყვნენ მოსკოვიდან, რესპუბლიკის დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები.

დასასრულ მოეწყო დიდი თეატრალური სანახაობა.

▼▼

აშასწინათ ქალაქ ფოთისა და წალენჯიხის რაიონის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ გამოჩენილ ქართველ პოეტს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს ხუტა ბერუღავას.

შემოქმედებითს საღამოზე, რომელიც ფოთის სახელმწიფო თეატრში გაიმართა, პოეტს მხურვალედ მიესალმნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მსახიობებმა წაიკითხეს იუბილარის ლექსები, ხოლო მომღერალთა ანსამბლის ნევრებმა შეასრულეს პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა და თავისი ნაწარმოებები წაიკითხა ხუტა ბერუღავამ.

ფოთის შემდეგ პოეტი წალენჯიხას ეწვია. რაიონის კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო საღამო.

▼▼

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი საგასტროლოდ ლატვიაში გაუმგზავრა. რიგის ლენინური კომკავშირის სახელობის ახალგაზრდული თეატრის სცენაზე თბილისელი მსახიობები უჩვენებენ ბ. ლავრენიევის „რლვევას“, ნ. დუმბაძის „კუკარაჩას“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებას“. ეს ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის პირველი გასტროლებია ლატვიაში.

▼▼

საქართველოს სახაგრომრეწვის ოჩამჩირის ჩაის კონცენტრატთა ქარხანამ გამოუშვა ახალი რეცეპტით გამზადებული გამამხნევებელი სასმელი „არადუ“. მისი პირველი პარტიები უკვე გაიგზავნა ვორონეჟისა-ვგრადში, ნაღჩიკში, ერევანში, ოდესაში, ქვეყნის სხვა ქალაქებში. „არადუ“, რომლის რეცეპტი შექმნეს საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ქარხნის სპეციალისტებმა, შეიცავს სამკურნალო კომპონენტებს — ჩაისა და ღიმონის, ფორთოხლის, მანდარინის, ისპანახისა და მრავალძარღვას ექსტრაქტს.

სპეციალისტთა შეფასებით, სასმელი თავისი ვიმოვნებითი თვისებებით ახლა არ ჩამოუვარდება ცნობილ „პეფსი-კოლასა“ და „ფანტას“. ქარხნის კოლექტივს განზრახული აქვს წელს 8 მილიონი ბოთლი გამაგრილებელი სასმელი გამოუშვას.

ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ „არადუს“ წარმოება სამ-ოთხჯერ გაიზრდება.

▼▼

ყოველწლიურად რამდენიმე საცხოვრებელი სახლი ემატება კურორტ-ქალაქ ქობულეთს. ახლახან რუსთაველის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. იგი მიიღეს „ცენტროსოიუზის“ ქობულეთის დასასვენებელი სახლის მუშა-მოსამსახურეებმა. მშენებლობას აწარმოებდა „საქკოოპმშენის“ ბათუმის მოძრავ-მექანიზებული კოლონა.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე

ᲡᲐᲛᲘᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

„საქართველოს მადლიან მიწაზე“ — ასეთი ანშლაგით დაბეჭდა ქართული სპორტისადმი მიძღვნილი მასალები გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ 20 იანვრის ნომერში. ჩვენი რესპუბლიკის სპორტული და ფიზკულტურული ცხოვრების ამსახველი გვერდი მოამზადეს გაზეთის საკუთარმა კორესპონდენტმა საქართველოში დავით კაკაბაძემ და სპეციალურმა კორესპონდენტმა იური იურისმა. ჟურნალისტებს ვრცელი ინტერვიუ მისცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ. ეს ინტერვიუ გაზეთის მეორე გვერდზე დაბეჭდილია სათაურით „ჟამი მოქმედებისა“, რომელშიც მიმოხილულია ქართული სპორტისა და ფიზკულტურული მოძრაობის სასიკეთო ძვრები და საჭირბოროტო საკითხები.

პირველ გვერდზე კი გაზეთი აუწყებდა, რომ იგი იწყებს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი იმ მასალების სერიულ პუბლიკაციას, რომლებიც მკითხველებს მოუთხრობენ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გაშლილი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის თაობაზე. ამავე გვერდზე დაბეჭდილი მოწოდებით — „საქმით განამტკიცე ოქტომბრის საქმე“, გაზეთი მეგზურობას უწევს მკითხველს და მიანიშნებს, თუ რა მასალებია დაბეჭდილი გაზეთის მეორე გვერდზე. გაზეთი აუწყებს მკითხველებს ფართო აუდიტორიას, რომ ამ ორი წლის წინათ რესპუბლიკის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებმა გაზეთი „კომუნისტის“ ფურცლებზე ხალხს მიმართეს მოწოდებით „გაფლონინერდეთ, გაეკანსაღლეთ, გავმაგრდეთ!“ როგორც „სოვეტსკი სპორტი“ აღნიშნავს, ამის შემდეგ „უძველეს და მარად ჭაბუკ საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში ახალი ძალების მოზღვავება მოჰყვა“. და მართლაც, ამის დამადასტურებელია მასალები, რომლებშიც საინტერესოდ არის მოთხრობილი, თუ რა ძვრები ხდება საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში. აქ მკითხველი იხილავს მასალას იმის თაობაზე, თუ საქართველოს კოლეკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით როგორ იზრდება ეროვნული სახეობის სპორტის — ქართული ჭიდაობის პოპულარობა; გაეცნობა რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და საწარმო გაერთიანება „აზოტის“ ფიზკულტურული კოლექტივების ერთ-ერთ საინტერესო ინიციატივას; აქვეა დასტამბული ლანჩხუთის „პიონიის“ ფიზბურთელთა ამსაზღვრელ წარმატებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა და სპორტული კომენტატორის კოტე მახარაძის მოსაზრებანი; აქვე მოთხრობილია იმაზეც, თუ როგორ ეძებს ტალანტებს რესპუბლიკის სპორტული გაზეთი „ლელო“; მკითხველები გაეცნობიან იმასაც, თუ რა ნაყოფიერად მიმდინარეობს მუშაობა და რა საინტერესო სიახლეებია რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის ნორჩ კალათბურთელთა სპეციალიზებულ სკოლაში...

ცხადია, მკითხველები თავად გაეცნობიან გაზეთი „სოვეტსკი სპორტში“ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ამსახველ მასალებს, რომლებშიც ისინი ბევრ პოზიტიურსა და სასიხარულოს ამოიკითხავენ, მაგრამ იმაშიც დარწმუნდებიან, რომ გასაკეთებელი უფრო მეტია. ისიც ხომ მართალია, რომ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ძირფესვანი გარდაქმნა ეს-ესაა დაიწყო, და თითოეული ჩვენგანის უცილობელი მოვალეობაა ამ პროცესის ამტიკნელ მონაწილენი ვიყოთ, ვამრავლოთ სპორტული მიღწევები, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რაოდენობა აბსოლუტური შესაძლებლის ზღვრამდე მივიყვანოთ. თავად ვიყოთ ამ კეთილშობილური მოძრაობის აქტიური მონაწილენი.



ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ...

რედაქციის დავალებით ქობულეთის რაიონის სოფელ აკში იყო საქართველოს რეპორტიორი. კოლმეურნეებმა მას სთხოვეს სწვეოდა რეჯის სალუქვაძის სახლს — ფოტოფირზე აღიბეჭდა ღირსეული ოჯახის ცხოვრების იშვიათი მომენტი: ოჯახის უფროსის 80 წლისთავისა და მისი „ოქროს“ ქორწილის აღსანიშნავად შეიკრიბნენ შვიდი შვილი, 20 შვილიშვილი და 22 ბაღიშვილი.

როგორ გამოტოვებდა ფოტოკორესპონდენტი ასეთ შემთხვევას! მან სთხოვა რეჯებსა და მის მეუღლეს ლოდას კიბეზე გამოსულიყვნენ, ხოლო შვილებსა და შთამომავლებს — გარს შემოხვეოდნენ სოფელში ყველაზე პატივსაცემ ადამიანებს. ხედავთ, რამდენი შეიკრიბნენ საოჯახო დღესასწაულზე.

შემდეგ კი ხალამოს, როცა მინელდა სადღესასწაულო ფუსფუსი, რეპორტიორმა რეჯებსა და მის მეუღლეს გადაუღო ფოტოსურათი.

და ბოლოს, მათ უამბეს თავიანთი ცხოვრების ამბავი: შრომობდნენ კოლმეურნეობის ჩაიის პლანტაციაში, ფერმაში, საკარმიდამო ნაკვეთში, ზრდიდნენ შვილებს — ოთხ ქალიშვილსა და სამ ვაჟს. ისინი გახდნენ პედაგოგები, აგრონომები, კოლმეურნეები. ახლა თვითონ ზრდიან თავიანთ შვილებს და შვილიშვილებს, ერთგულობენ საოჯახო ტრადიციას — იყვნენ კეთილსინდისიერნი, თავმდაბალნი, პატიოსანი მშრომელები.

ზ. სამსონიას ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ პროკურატურაში

მუშაობის პრინციპია საჯაროობა

კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია მიიღეს რესპუბლიკის ათობით საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ პროკურატურის ხელმძღვანელებთან, რეგიონალურ პროკურორებთან შეხვედრის დროს.

საჯაროობა სულ უფრო ხდება პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. და ამიტომ გაანალიზეს მომხსენებლებმა ასე გულმოდგინედ მშრომელებთან შეხვედრებზე დასმულ საკითხთა ბრძოლის საერთო მდგომარეობა, გულახდილად ილაპარაკეს მასში არსებულ როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ხასიათის ნაკლოვანებებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის პრობლემების განხილვას, როგორიც არის ლოთობა, ნარკომანია, წარმოებაში დისციპლინის დარღვევა, უშრომელი შემოსავლის მიღება. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ წამატებებისა და თვალის აბვეთის ალმოფხვრა, ეკონომიკაში კანონიერების განმტკიცების სხვა აქტუალური პრობლემების გადაჭრა სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების საწინდარია.

პროკურატურის მუშაკებთან შეხვედრებზე უკვე იყო 16 ათასზე მეტი კაცი. კრებებს შემდეგ მრავალმა მათგანმა მიმართა კანონის მსახურებს საჩივრებითა და განცხადებებით. ყველა ამ დოკუმენტს განიხილავენ. ასეთი შეხვედრები ამიერიდან სისტემატურად გაიმართება.

(საქინფორმი).

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲬᲧᲐᲠᲝ

28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲡ, ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲪᲜᲝᲑᲘᲜᲔ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ 120 ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲘᲡ.

„სომხეთის მეხოტბე“ — ასე უწოდა ავეტიკ ისაკიანმა მარტიროს სარიანს. ძნელია გამონახო სიტყვები, რომლებიც უფრო ტევადად განსაზღვრავენ თანამედროვეობის ამ დიდი მხატვრის შემოქმედების არსს. მხოლოდ ოცი წლისამ იხილა პირველად სომხეთი. ნახა, რათა შეეესისხლხორცებინა მისი ჯადოსნური ფერები, მისთვის და მხოლოდ მისთვის მიეძღვნა თავისი მზიური ფუნჯი. მამა-პაპათა მიწა-წყლის მკაცრი საოცარი სილამაზის ბუნება მთელი სიდიადით გადაეშალა, და მან თავის ტილოებში განასახიერა მისი წარსული და აწმყო — ყანები და ბაღ-ვენახები, მათი ბარაქა და სამშობლოს მთავარი სიმდიდრე — მისი მშრომელები.

მან ხანგრძლივი და ლამაზი ცხოვრება განვლო. ბევრი რამ ნახა და ყოველივე ეს ასახა ორიგინალურ ქმნილებებში, რომლებიც ადამიანებს დაუტოვა. თითოეულისათვის, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, გასაგები და ახლობელია მისი ნამუშევრები.

მ. სარიანს ეყვარდა თბილისი, არაერთხელ ყოფილა აქ, გამოუფენია თავისი ნამუშევრები. თბილისელ მაყურებელთან ახლანდელი „შეხვედრა“ კარგა ხნის შემდეგ გაიმართება. იგი ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ მის პარალელურად სომხეთის დედაქალაქში გაიხსნება ლადო გუდიაშვილის ნამუშევართა გამოფენა.

მაშ ასე, 23 იანვარს საქართველოს ხელოვნების მუზეუმი დამთვალიერებლს იწვევს მარტიროს სარიანის უკვდავ ქმნილებათა გამოფენაზე. (საქინფორმი).

სამოცდაათიანი წლების დასასრულისათვის ჩვენი ქვეყნის საინფორმაციო მაუწყებლობა თვისებრივი გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია საზოგადოებრივმა აზრმა, რაც განსაკუთრებით მშრომელთა წერილებით გამოიხატა. იდეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებდა. იგი მრავალ ასპექტს შეიცავდა, რომელთა შორისაც მთავარი იყო ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შეთანხმებული მუშაობა.

„ფარული, დროული და გულახდილი ინფორმაცია, — წერს მ. გორბაჩოვი, — ეს არის ადამიანებისადმი ნდობის საბუთი, მათი გრძნობების პატივისცემა. იმის უნარი, რომ თავად გაერკვნენ ამა თუ იმ მოვლენის არსში, იგი ამაღლებს მშრომელთა აქტიურობას“.

პარტიის მითითებათა საფუძველზე ცენტრალურმა ტელევიზიამ გადაახალისა საინფორმაციო მაუწყებლობა, გაზარდა ეთერში ახალი ამბების მოცულობა, შემოიღო საერთაშორისო ინფორმაციის ოპერატიული გამოშვება („დღეს მსოფლიოში“) და სხვა.

80-იანი წლების დასაწყისიდან, ცენტრალური ტელევიზიის კვალდაკვალ, რესპუბლიკურმა ტელესტუდიებმაც გადაახალისეს საინფორმაციო სამსახურები. ახალი შემოქმედებითი ძვრები დაეტყო საქართველოს სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამა „მომამბეს“. იგი გამდიდრდა ტექნიკური საშუალებებით, ჟანრთა გამოყენების ხერხებით, ცოცხალი სიტყვით, რუბრიკებით, ციკლებითა და ბლოკებით. კარგად გვახსოვს „მომამბის“ ერთ წამყვანს ბუ აგება, რომელიც იმ დროს თავისებურ სიახლესაც წარმოადგენდა (ნაადრევად ხომ არ დაივიწყეს იგი?).

სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ კი საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო სამსახური განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა მუშაობას, ჟურნალისტები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ყრილობის მოწოდებას სრული გარდაქმნისათვის. მათ წინაშე დიდი და კეთილშობილური ამოცანა დადგა — საჯაროობა აქციონ მუდმივმოქმედ სისტემად.

„მომამბის“ სიუჟეტებმა მიიღეს მკაფიო მიმართულება, გაიზარდა მათი ინფორმაციული დატვირთვა, თემის ყოველმხრივი გაშუქების სურვილი. გამომსვლელებიც, კამერისა თუ მიკროფონის წინ, უფრო საქმიანად, სინდისიერად ლაპარაკობენ.

„მომამბის“ სიუჟეტებთა საფუძველზე ცენტრალურმა ტელევიზიამ გადაახალისა საინფორმაციო მაუწყებლობა, გაზარდა ეთერში ახალი ამბების მოცულობა, შემოიღო საერთაშორისო ინფორმაციის ოპერატიული გამოშვება („დღეს მსოფლიოში“) და სხვა.

80-იანი წლების დასაწყისიდან, ცენტრალური ტელევიზიის კვალდაკვალ, რესპუბლიკურმა ტელესტუდიებმაც გადაახალისეს საინფორმაციო სამსახურები. ახალი შემოქმედებითი ძვრები დაეტყო საქართველოს სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამა „მომამბის“. იგი გამდიდრდა ტექნიკური საშუალებებით, ჟანრთა გამოყენების ხერხებით, ცოცხალი სიტყვით, რუბრიკებით, ციკლებითა და ბლოკებით. კარგად გვახსოვს „მომამბის“ ერთ წამყვანს ბუ აგება, რომელიც იმ დროს თავისებურ სიახლესაც წარმოადგენდა (ნაადრევად ხომ არ დავიწყეს იგი?).

სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ კი საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო სამსახური განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა მუშაობას, ჟურნალისტები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ყრილობის მოწოდებას სრული გარდაქმნისათვის. მათ წინაშე დიდი და კეთილშობილური ამოცანა დადგა — საჯაროობა აქციონ მუდმივმოქმედ სისტემად.

„მომამბის“ სიუჟეტებმა მიიღეს მკაფიო მიმართულება, გაიზარდა მათი ინფორმაციული დატვირთვა, თემის ყოველმხრივი გაშუქების სურვილი. გამომსვლელებიც, კამერისა თუ მიკროფონის წინ, უფრო საქმიანად, სინდისერად ლაპარაკობენ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲬᲧᲐᲠᲝ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲢᲔᲚᲔᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔᲖᲔ“

▼▼

ინფორმაციო პროგრამის ერთ-ერთი სასურველი ჟანრი საუბარია, რომელსაც პროგრამის თითქმის მესამედი ეთმობა. საუბარი ყველა გამოშვებაში გვხვდება და ყველა ბლოკის ერთგვარ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ვერბალური ინფორმაციის მთელი სიმძიმე საუბარზე მოდის.

უთუოდ დიდ ყურადღებას იმსახურებენ ჩვენი პოლიტიკური მიმომხილველები. „მომამბის“ დამსახურებაა ის, რომ უცხოური ინფორმაციის კომენტარებს მუდმივად ეთმობა ადგილი, რაც იშვიათია სხვა სტუდიებში.

პოლიტიკური მიმოხილვა ეკრანზე საქმის მარტო ღრმა ცოდნას როდი გულისხმობს. აუცილებელია გამართული, ლოგიკური საუბარი, დამაჯერებლობა, მაყურებელთან კონტაქტის დამყარების ჩვენთვის ჯერ შეუცნობი უნარი, აგრეთვე უშუალობა, სითბო, ხმის კარგი ტემბრი და კამერის წინ თავის დაჭერა. ამ მხრივ, რასაკვირველია, ჩვენს კომენტატორებს კიდევ ბევრის გაკეთება მოუწევთ.

ცალკე საუბრის თემაა ეკონომიკური მიმომხილველის ზ. კაციაშვილის გამოსვლები. პრობლემები, რომლებზედაც იგი საუბრობს, ხშირად მაყურებლის ცნობიერებამდე ვერ აღწევს. მიმომხილველი ასახელებს ფაქტებს, მოვლენებს, ციფრებს, გვარებს, მაგრამ ისინი მაყურებლის ყურადღების მიღმა რჩებიან. გამოდის რომ, მთავარი რედაქცია სწორად ვერ იყენებს კარგ სპეციალისტს. მის დალაგებულ ლაპარაკს თან უნდა ერთვოდეს ნაირგვარი დიაგრამები, ცხრილები და სხვ. ამ თვალსაჩინოებას კინოჩანართებიც უნდა დაეროთოს, რაც დაინტერესების ფაქტორს შექმნიდა.

კარგ მთბეჭდილებას ტოვებს „მომამბის“ ორშაბათის მოსაუბრე (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ღვინჯილია); იგი საქმის ზედმიწევნით ცოდნით, კორექტულად და თავაზიანად გვესაუბრება ქართული ენის სწორი ნორმების დაცვაზე. დარგობრივი საუბრები სხვა დღეებშიც რომ ეწყობოდეს (გავიხსენოთ თუნდაც ხუთშაბათის საუბრები ჯანმრთელობის ირგვლივ), ამით საქმე უფრო მოიგებდა.

მაიორ გ. აბულაძის სატელევიზიო გამოსვლათა წარმატება უკვე საყოველთაო მსჯელობის საგანია. ამასთან, მის წარმატებას ხელს უწყობენ კვალიფიციური ჟურნალისტები.

საინფორმაციო პროგრამის ერთ-ერთი სასურველი ჟანრი საუბარია, რომელსაც პროგრამის თითქმის მესამედი ეთმობა. საუბარი ყველა გამოშვებაში გვხვდება და ყველა ბლოკის ერთგვარ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ვერბალური ინფორმაციის მთელი სიმძიმე საუბარზე მოდის.

უთუოდ დიდ ყურადღებას იმსახურებენ ჩვენი პოლიტიკური მიმომხილველები. „მომამბის“ დამსახურებაა ის, რომ უცხოური ინფორმაციის კომენტარებს მუდმივად ეთმობა ადგილი, რაც იშვიათია სხვა სტუდიებში.

პოლიტიკური მიმოხილვა ეკრანზე საქმის მარტო ღრმა ცოდნას როდი გულისხმობს. აუცილებელია გამართული, ლოგიკური საუბარი, დამაჯერებლობა, მაყურებელთან კონტაქტის დამყარების ჩვენთვის ჯერ შეუცნობი უნარი, აგრეთვე უშუალობა, სითბო, ხმის კარგი ტემბრი და კამერის წინ თავის დაჭერა. ამ მხრივ, რასაკვირველია, ჩვენს კომენტატორებს კიდევ ბევრის გაკეთება მოუწევთ.

ცალკე საუბრის თემაა ეკონომიკური მიმომხილველის ზ. კაციაშვილის გამოსვლები. პრობლემები, რომლებზედაც იგი საუბრობს, ხშირად მაყურებლის ცნობიერებამდე ვერ აღწევს. მიმომხილველი ასახელებს ფაქტებს, მოვლენებს, ციფრებს, გვარებს, მაგრამ ისინი მაყურებლის ყურადღების მიღმა რჩებიან. გამოდის რომ, მთავარი რედაქცია სწორად ვერ იყენებს კარგ სპეციალისტს. მის დალაგებულ ლაპარაკს თან უნდა ერთვოდეს ნაირგვარი დიაგრამები, ცხრილები და სხვ. ამ თვალსაჩინოებას კინოჩანართებიც უნდა დაეროთოს, რაც დაინტერესების ფაქტორს შექმნიდა.

კარგ მთბეჭდილებას ტოვებს „მომამბის“ ორშაბათის მოსაუბრე (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ღვინჯილია); იგი საქმის ზედმიწევნით ცოდნით, კორექტულად და თავაზიანად გვესაუბრება ქართული ენის სწორი ნორმების დაცვაზე. დარგობრივი საუბრები სხვა დღეებშიც რომ ეწყობოდეს (გავიხსენოთ თუნდაც ხუთშაბათის საუბრები ჯანმრთელობის ირგვლივ), ამით საქმე უფრო მოიგებდა.

მაიორ გ. აბულაძის სატელევიზიო გამოსვლათა წარმატება უკვე საყოველთაო მსჯელობის საგანია.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲬᲧᲐᲠᲝ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲢᲔᲚᲔᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔᲖᲔ“

▼▼

ინფორმაციო პროგრამიდან „მომამბე“ პოპულარული, სისტემატური გადაცემა, და ამდენად, ყველაზე ავტორიტეტულიც.

პროგრამაში მკაფიოდ აისახება ჩვენი რესპუბლიკის ყოველდღიური მაჯისცემა. ერთ-ერთ სიუჟეტში, რომელსაც თან ახლავს ემბლემა „ხუთწლედის მოწინავეთა სახატიო დაფა“, კონკრეტულად (თავიანთი ვინაობით) ვეცნობით ამაგდარ ადამიანებს: მეშახტეებს, მეფოლადეებს, კოლმეურნეებს, მეცხოველეებსა და ყველა იმათ, ვინც სამართლიანად იმსახურებს საყოველთაო მადლობას. ამ რამდენიმე წლის წინათ დანერგილი ეს ფორმა ფრიად საყურადღებოა. მაყურებელი ადგილად გამოარჩევს შემოქმედებითი ჯგუფის ტანდემებს: სიუჟეტთა სიუხვესა და მრავალფეროვნებას, გონებამახვილურად იყენებენ დიალოგსაც.

„მომამბეს“ ზუსტი გრაფიკი აქვს და პროგრამის ხანგრძლივობა 35 წუთია. მართალია, ზოგჯერ მას 5-10 წუთი ემატება, მაგრამ ეს „ზედმეტი წუთები“ ხელს როდი უშლის. მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს პროგრამის საერთო კომპოზიციის დარღვევა, რაც ოფიციალური მასალის ჩართვასთანაა დაკავშირებული. სრულიად გაუგებარია, რა მიზანს ითვალისწინებს პროგრამის ამგვარი „გაზრდა“? ის კი გასაგებია, რომ ოფიციალური მასალა (მისი ოპერატიულობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის გამო) სრულიად განსალკევებით, დამოუკიდებლად უნდა გადაიცეს, თუნდაც ამას „მომამბისათვის“ განკუთვნილი დრო დასჭირდეს. იგი ამით არაფერს წაგებს, ჯერ გადაიცემა ოფიციალური მასალა, შემდეგ კი „მომამბე“. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებულ გადაცემას მაყურებელი მეტი ყურადღებით მოისმენს, „მომამბის“ კომპოზიცია კი მთლიანობას შეინარჩუნებს.

საყურადღებოა შენიშვნის ჟანრით მასალების რომელიმე ერთი რუბრიკით წარმოდგენა. ასეთია „აგროკომპლექსი — სადღეისო საზრუნავი“. უეჭველია, რომ თავისთავად ინფორმაციული მასალების ერთ თემატურ ჯგუფში გაერთიანება ურიგო ხერხი არ არის, მაგრამ ამ გზით მიზანს ყოველთვის ვერ ვაღწევთ, მსჯელობა ზედაპირული გამოდის, გამოსახულება ერთფეროვანი. ამ რუბრიკის ნაკლი ისიც არის, რომ იგი თავს უყრის სოფლის მეურნეობის ყველანაირ მასალას, აგროსამრეწველო კომპლექსის სადღეისო საზრუნავი კი ნაკლებად ჩანს! მიმოხილვებს აკლია აგრეთვე ანალიზი, საბუთიანობა და სხვა.

„მომამბეში“ ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი და მოვლენების ოპერატიულად ამსახველი ჟანრია რეპორტაჟი.

მწვავე რეპორტაჟები გადაიცა თბილისის სამედიცინო გამოსაფხიზლებლიდან. მართალია, ყველა მათგანი ვერ იდგა პროფესიულ დონეზე, მაგრამ საზოგადოებრივი რეზონანსი მაინც გამოიწვია.

გამოსარჩევია „დღის რეპორტაჟები“ და „საკვირაო რეპორტაჟები“, აგრეთვე ბოლო ხანებში გახშირებული „უსიტყვო რეპორტაჟები“. თითქოს გაკვირვებას უნდა იწვევდეს რეპორტაჟი მოვლენის მეტყველებითი შეფასების გარეშე. ყველასათვის ცხობილია, თუ რა როლს ასრულებს ამ ჟანრში ცოცხალი სიტყვა, ან ინტერვიუს ჩართვა, რომელიც მთლიანად მეტყველებაზეა აგებული. მაგრამ „უსიტყვო რეპორტაჟები“ სწორედ ამ უცნაურობით იბდენენ ეფექტს მაყურებელზე. სიჩუმის „ხმაურს“ ავტორები სწორედ მაშინ იყენებენ, როცა ყველაზე მეტადაა საჭირო ხმის ამაღლება.

ხშირია რეპორტაჟების სერია, რომლებიც გადაიცემა რუბრიკით: „წუნი ახლო ხედით“, რომლითაც ძალზე საჭირბოროტო პრობლემები შუქდება.

თებერვალ-მარტში მომზადდა და გადაიცა რეპორტაჟები ყიზლარის ზამთრის სძოვრებიდან რუბრიკით: „მომამბის“ გამსვლელი რედაქციის რეპორტაჟი. რუბრიკით „გარდაქმნა დროის მოთხოვნაა“ ფრიად აქტუალური საკითხები შუქდება. ყურადსაღებია რუბრიკები: „სახელმწიფო მიღება — ხარისხის გარანტია“, „ვთესოთ მხოლოდ სიკეთე“ (ანონიმ ავტორებზე და ცილისმწამებლებზე).

„მომამბეში“ ცოცხალი აზრის, იმწუთიერი, ოპერატიული მსჯელობის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს ინტერვიუ, რომელსაც პროგრამაში ზომიერად, დიდი გულმოდგინებითა და პროფესიული კეთილსინდისიერებით ამზადებენ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲔᲥᲘᲛᲝ...

ᲤᲡᲘᲥᲝᲗᲔᲠᲐᲙᲘᲐ—ᲣᲞᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ

ᲝᲗᲮᲘ წელს ბიჭუნას ენის მოკიდება დასჩემდა. ენაბღუობა, აბა, რა სასიამოვნოა, და შეშფოთებულმა მშობლებმა საბავშო ბაღის ეიოგოპედს მიუყვანეს შვილი, რა თქმა უნდა, ნევროპათოლოგსაც გასინჯეს... ეიგონეგეროზი აღმოაჩნდა, შეძენილი ეიგონეგეროზი, რომელიც ღღესღღეობით, ძაღზე გავრცელებული პატარებში და იშვიათად თუ იკურნება.

ამასობაში სკოლის ასაკიც მოვიდა. უჭირდა ბავშვს, უჭირდა ამხანაგებთან ურთიერობა, გაკკეთილების მოყოლა. ეიგოპედიურ ვარჯიშებს შეეგი არ მოჰქონდა. მშობლებს, ერთმა, ოიგუბის ვარჯიში დაიწყებინეთო, ურჩია, ვიღაცამ — ბიოდენებით უმკურნალეთო. სცადეს... ბავშვის მეტყველებას სასკეთო არაფერი დასტყობია. სხვა გამოსავალი არ იყო, მოსკოვში, მეტყველებისა და სმენის დეფექტების აღმდგენ სპეციალურ პოლიკლინიკაში უნდა ეცადათ ბედი, იქ მოხვედრა კი არც ისე ადვილია, საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩაჰყავთ ბავშვები ზაფხულობით — არადეგების პერიოდში, რადგან მკურნალობა თვე-ნახევარს მაინც გრძელდება. შედეგი კარგი იყო, მაგრამ ოჯახის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, მეტყველება თანდათან გაუარესდა. ისევ მოსკოვში იყო ჩასვლა საჭირო, რათა მკურნალობის კური გაემეორებინათ, ამჯერად რიგმა აღარ მოუწიათ.

ბოლო იმედი ისღა დარჩა, იქნებ ბავშვს თვითონ დაეძღია ყოველივე...

და აი, შარშან ზაფხულზე ერთმა მეგობარმა ურჩია მშობლებს, ბიჭი, რომელიც უკვე თოთხმეტი წ